სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაორ დეკემბერს მე, ნოტარიუს მარიამ ნავროზაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ", II სართული, მომმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი"-ს დირექტორმა ბატონმა მიხეილ ალიბეგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით ზურაბ ლოლაშვილს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მიხეილ ალიბეგაშვილმა (დაბ. 31.10.1975წელს თბილისში, პირადი №01019005647, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, დეპოს ქუჩა, N 19) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი", რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დეპოს ქ. #19, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 28.11.2014, საიდენტიფიკაციო კოდი: №400131905), ამონაწერის მომზადების თარიღი: 2018 წლის 4 ივნისი.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა მარიამ ნავროზაშვილმა შევადგინე წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაორ დეკემბერს მიხეილ ალიბეგაშვილმა, როგორც შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი"-ის (ს/კ №400131905) დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც "მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით ზურაბ ლოლაშვილს (დაბ. 01.10.1961წელს, პირადი №01008008282), რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც "რწმუნებული", საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი"-ის (ს/კ №400131905) კუთვნილ უძრავ ნივთებზე საპროექტო და სამშენებლო საქმეები. ამ მიზნით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, იუსტიციის სახლში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, ჩააბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი მარწმუნებლის სახელით, გააკეთოს მარწმუნებლის სახელით ნებისმიერი სახის განცხადებები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეადგინოს და მიიღოს მშენებლობის პროექტი და ნებართვა, ასევე მოახდინოს პროექტის შეცვლა (კორექტირება), გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგიერ საჭირო დოკუმეტებს, მშენებლობის დასრულების შემდეგ გაატაროს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში უძრავი ქონება, აიღოს ამონაწერი და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშრებულია ამ დავალებასთან.
2. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.
3. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაოთხი წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

გადახდილია 12,00 (თორმეტი) ლარი - აქედან: სანოტარო საზღაური 10,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი:

ნოტარიუსი: მარიამ ნავროზაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78823736735821

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211423540

რეგისტრაციის თარიღი

22.12.2021 წ

ნოტარიუსი: მარიამ ნავროზაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #23ა, კომერციული ფართი #45 , ბლოკი "გ", II სართული
ტელეფონი: 598270730

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18